სახლმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება

№43

ქ. ქუთაისი 08 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, შპს "ქართული ტრადიციები 2011", მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა 59-61 (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის, ირაკლი სარიშვილის სახით, მეორეს მხრივ შპს "პარკინგსერვისი", წარმოდგენილი დირექტორის, ზვიადი მანდარიას სახით, მისამართი: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №2 (შემდგომში "მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 შემსყიდველმა აწარმოა ერთ პირთან მოლაპარაკება მომსახურების შესყიდვაზე: ქ.ქუთაისის ტერიტორიაზე შპს „პარკინგსერვისისათვის" გადაცემული პარკირების ადგილებზე „შემსყიდველის" საკუთრებაში არსებული 2 (ორი) ერთეული ავტომანქანის პარკირების 1 (ერთი) წლიანი უფლების შეძენა (შესყიდვის ზოგადი კატეგორტიის **(CPV)** კოდი: 98300000 (სხვადასხვა მომსახურება), შესყიდვის კლასიფიკატორის **(CPV)** კოდი: 98351110 (მომსახურებები ავტოპარკირების წესების დაცვის უზრუნველყოფის სფეროში)) და მიიღო მიმწოდებლისაგან წინადადება, მომსახურების მიწოდებაზე შემდეგ თანხაზე: 80 (ოთხმოცი) ლარი.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადებში.

1.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება შემსყიდველის საკუთრებასა ან მფლობელობაში არსებული წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ ავტომანქანებს.

1.4 ხელშეკრულების 1.3. პუნქტში მითითებული დანართი არის წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს: **80 (ოთხმოცი) ლარს.**

2.2 ერთი ავტომობილის 1 (ერთი) წლიანი პარკირების საფასური შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.4 შემსყიდველი არ არის ვალდებული ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სრულად დაფაროს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული თანხა.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების (დანართის შესაბამისად) პარკირების სისტემაში გააქტიურება განახორციელოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ერთ დღეში.

4.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პარკირების სისტემაში გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

5.2 მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მომსახურების ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

6. ანგარიშსწორება და ვალუტა

6.1 ანგარისწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა (რაც დადასტურდება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით ან სასაქონლო ზედნადებით) და თანმდევი მომსახურების განხორციელების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები.

9. სუბკონტრაქტორები

9.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 შემსყიდველი ვალდებულია:

10.1.1ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

10.1.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

10.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

10.2.1შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

10.2.2მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

10.2.3მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

.4მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო მომსახურების ნაკლის აღმოფხვრა.

.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

.0.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

10.3.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

10.3.3აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

10.3.4საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო მომსახურებით მიყენებული ზიანი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

10.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

10.4.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 10 პროცენტი;

12.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულების 0.02%–ს.

12.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

12.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

12.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე

ოეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

14.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი 30 დღეში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 08 ივნისის ჩათვლით.

20. სხვა პირობები

20.1 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

21. მხარეთ რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „ქართული ტრადიციები 2011“
მის: ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა№59-61
ს/კოდი: 412681218
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს „ვითიბი ბანკი"
ბ/კოდი: UGEBGE22
ანგარიშის № GE42VT0500000000013402
ტელ: (0431) 25-34-50

დირექტორი

ირაკლი სარიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „პარკინგსერვისი“
მის.: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. #2
ს/კოდი: 412711230
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი“
ბ/კოდი: UGEBGE22
ანგარიშის №GE03VT0500000000033407
ტელ: (0431) 310 310

დირექტორი

ზვიადი მანდარია

შპს „ქართული ტრადიციები 2011“-სა (შემდგომში შემსყიდველი) და შპს “პარკინგსერვისი“-ს (შემდგომში მიმწოდებელი) შორის 2018 წლის 08 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №43 ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი გაუწევს მომსახურებას შემსყიდველის შემდეგ ავტომანქანებს:

№	ავტომანქანის მარკა	ატომანქანის სახელმწიფო ნომერი
1	Ford Transit	AA 920 VV
2	OPEL Vectra	AQA 332

შემსყიდველი:
შპს „ქართული ტრადიციები 2011“
მის: ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა№59-61
ს/კოდი: 412681218
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს „ვითიბი ბანკი"
ბ/კოდი: UGEBGE 22
ანგარიშის № GE42VT0500000000013402
ტელ: (0431) 25-34-50

დირექტორი

ირაკლი სარიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „პარკინგსერვისი“
მის.: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. #2
ს/კოდი: 412711230
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ვითიბი ბანკი“
ბ/კოდი: UGEBGE 22
ანგარიშის №GE03VT0500000000033407
ტელ: (0431) 310 310

დირექტორი

ზვიადი მანდარია